ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1823457

ნომერი: AR1298321

თარიღი : 31.03.2015

გაცემის თარიღი : 03.04.2015

გაცნობის თარიღი : 03.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგისა და ს.ქავთარაძის ქუჩების შესაყართან,, ტროლეიბუსების პარკის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა კიკვაძე პ/ნ 01001029243
- ალ. ყაზბეგის გამზირი #24

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ასევე სარეკლამო აბრის და ბანერის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ალ. ყაზბეგისა და ს. ქავთარაძის ქუჩების შესაყართან, ტროლეიბუსების პარკის მიმდებარედ, შპს "გრატო სითი სენთერ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ასევე სარეკლამო აბრის და ბანერის მოწყობის შესაძლებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისისარქიტექტურის სამსახური". ,, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან N 882014387375 23/07/2014 წ. საკადასტრო კოდი N 01.14.03.038.010, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ალ. ყაზბეგისა და ს. ქავთარაძის ქუჩების შესაყართან, ტროლეიბუსების პარკის მიმდებარედ, შპს "გრატო სითი სენთერ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ასევე სარეკლამო აბრის და ბანერის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვეგაცნობებთ, რომიმ შემთხვევაშითუ თქვენმიერგანსახორციელებელი სამუშაოებიეხება შენობა-ნაგებობის მზიდკონსტრუქციებს სამშენებლოსამუშაოების დაწყებამდედამკვეთმა უნდამოიპოვოსშესაბამისიდასკვნა განსახორციელებელი სამუშაოებისუსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.